Ցյրմանութիւ ու պայլաստացու ոչու „ցանի”, հոսքետիւ յո ուղագուրց քըտրյա եց. Ցյուր սամնածողմ արացուրու նարցե-լլու առ մոպանա, մեռլու աելու, ոռմու և առ վլու Շեմցցց Ցարարա սիծրալլու նցլու գաւացցի. Ես եցլու առու մու-լունու ուսց լարու թշամ ցեցնուացան, հոմեռնու Տուլութելլոյ-Շու թշամ ցան ցեցցուացեն, թշամ մու նեցնեցիւ ոչու գա-լունուցեցեն „Հայունունու յյումն”. ու ցանուրհեցլատ վուցնու պայլաս ցրտնանրա Մայլուա. Մունդարտա և լարունու ոչաե-Շի ցրտնանրա Տումարտույս յագացծա և Տուլուա գու նայ-լունուցանցիւ մուհնա. մանունա յո առ Շեմյուրտալս, հուր ու նորու Տուն Վահսլցա Ծուսալցիւ վուն. Զամնա Պայլացիւ յանեցա— սիծրացիւ և մատ ցասած Վուցեցնատ ծորկուցիւ նացուրատ սրիւցլա Տոմարտու յագացիս— և ցուլ-կըտուլատ մունցու-նա. Մուլու տագուսւցալու լուռ մատ Վահտոցի. ոմառց ամլուցա մուլու տագու յնուցիս և տաց ցան ցուրհուրցու յմսանուրց-նու մատ. ցանի ծցըրս և պունցի. Զամպուրցիս ունանա ոմատ ցուլուստացու Ծուսալտա Զամեմարցեցլ Տոնցագուցիւացան. մաց-րած առու յրտ յրեցիս առ Մուստուցեցուա, հոմ առ Զամփուրցեցուա, և հունու յո Մումպուրցեցինա Ծուսալցիս ցայուրհուցուլու կըտրյացի. հուր մուսկուզուան Ծուսալցիս ցիանցնուցեն Տեցա հոմցունու յու գուլու ու գամնածուա ոմատիւ և Յունուացւա ցու և յեսյուրուց-նուա, հունու Մույլու զանեարցի. ոմաս ԵՇուրու սիծրուցեն, հոմ առ ցարցուոսց Կոնու սուրուստացիւ Տայմեր և մատտացու Պունուալու առ ցոյշուա, մացրած յյումու մուս Տասութատ ցունցուցա: Տանմա յո ցան Ծուսալտա Զամեմարցեցլ Տոնցագուցիւ տացմշցումարց սիծրուա Տայմեր իյմու մուրալցուա. յմսուրհ-նուցեն գացուտեցուա, հոչուրու Վեցուրհուցիւ զամուրհուցու. մացրած ու պայլութացու սունասւեցծա: Մուցալցունու ալմիսրուլյ-նու Տուլու առ առու Վեցուրհուցիւ զամրհուցուու.

ერთხელ გააზი ესაუბრებოდა თავის ბეჭერულურტყა. ლებზე მიტროპოლიტ ფილარეტის. გააზი სოხუმის მეცნიერებულობა გომლა სახელი შეემსუბუქებინათ უდანაშაულოთ დასჯილ თაოვის, რომელთაც მოელოდათ ციმბირში გადასახლება.

— თქვენ მუდამ ლაპარაკობთ, თევდორე პეტრეს ძევ, უდანაშაულოთ დასჯილებზე, უთხრა მიტროპოლიტმა, — თუ სასჯელი გაიაწყვეტილი იქვთ, მაშასადამე დამნაშავენიც იქნებიან.“

— მერე თქვენ ქრისტე დაგავიწყდათ! წამოიძახა გააჩმა.

— არა, თევდორე პეტრეს ძევ, დიღი ხნის სიჩუმის შემდეგ უპასუხა მიტროპოლიტმა, — მე აჩქარებით წამომუდა ეგვიპტურები მე კი არ დამავიწყდა ქრისტე — არამედ ქრისტემ დამივიწყა მე.

ერთხელ გააზი ხელმწიფეს მუხლ-მოდრეკით სოხოვდა, ემუდარებოდა ეპატიებინა მოხუც ტუსალისთვის სასჯელი, როცა შეისრულა გულის წალილი და აპატიებინა, ექიმი წამოხტა ფეხზე გახარებული და ოლელვებული წამოიძახა: აღა-მიანმა სულ სხვისთვის უნდა იზრუნოს — და არა თავისთვის. ის მაშინ იყო ბედნიერი, როცა სხვას ხედავდა გაბედნიერებულს.

ყოველ დღე ის დილის ექვსი საათიდან ფეხზე იდგა. თავის თავისთვის არ იმეტებდა ფულს, ჩაის მაგივრათ სეამდა მაყვლის წვენს. საჩქაროთ დალევდა ერთს ჭიქს და მირბოდა „აფთიერებში“ წამლების მოსამზადებლათ, რომ უფულოთ დაურიგოს თავის ავადმყოფებს. დილის რვა საათზე იმისი პატარა სახლი საავათმყოფოსთან — სავსე იყო ხალხით. ავადმყოფები სახლში მიდიოდენ მასთან, მავრამ საავადმყოფოში კიდევ სხვა ავათმყოფები უციიდენ. იქაც დიღი გულის ყურით შინჯამდა ყველა ავათმყოფებს, მათ საწოლ თახებს, მერე საჩქაროთ ჩაჯდებოდა თავის დანჯლეულ ეტლში და მიდიოდა ახლა სხვა ავათმყოფებთან. ბევრი მისვან მორჩენილნი უკიავნიდენ საჩქარებს, გააზი კი ამ საჩქარებს ურიგებდა საწყლებს.

ის მარტოთ მარტო სცხოვრობდა, სიკვდილ შემდეგ ერთი გროშიც არ დარჩა, თუმცა მის ხელში ათასობით იყო ფული: მშიერ-მშყურვალნი, დავრდომილნი ეხვევოდენ მის

კუბის, ძღვანი ურემლებით დასტიროდენ და ამ ცირქუმანტული
ბით ამკობდენ მას ძვირფასი გვირგვინების მაფიურათ. წიკვლილს
ისე დაუხვდა, როგორც მხედარი საოზროა ვამზადებული.
თუმცა ექიმი იტანჯებოდა სიკვდილის წინ საშინელი ტკივი-
ლებისაგან, გაგრამ მაინც ითხოვთ ვადაეყვანათ ლიდ ოთახში
და კარგი ლია გაეშვათ, რომ ერთი უკანისენელით დაენახა
თავისი მოსიყვარულე ღარიბი ხალხი და გამოსალმებოდა მათ.

16 მარიამობისთვეს 1853 წ. მთელ მოსკოვს მოედო
ამბავი რომ ექიმი გააზი გარდაიცვალი. არ დარჩა არც ერთი
მოსკოვის მცხოვრები რომ არ გამოსულიყო მცხედრის გასა-
ცილებლათ. კატოლიკეთა სისაფლაომდის. ერთმა მოსიყვარუ-
ლე ხელმა ძეგლი დაუდგა ლათინურის ზედ წარწერით: „ჩვენ
ლვთისნიერ ექიმს“. ტუსალებმა მოგროვილი მცირედი გრო-
შებით მოუწყეს ლამპარი, რომელიც უნდა მუდამ აწოებული
იყოს თვედორე ტირონელის ხატის წინ, რაღაც უცხოელი
გააზი ამ სახელს ატარებდა. მართალია ერთ კაცს არ შეეძ-
ლო უბედური ხალხის გულიდან აღმოეფხვრა მწუხარება და
ნალველი, მაგრამ მან ჩაუნერგა გულში რწმენა და მოთმინე-
ბა. გააზმა თავის მაგალითთ—სიტუვით თუ საქმით, მოაგონა
ბედნიერებს დაჩაგრულნი და შუა კაცათ გახდა მათ შორის.
დაუახლოვა მათ ეს დაჩაგრულები, რომლებსაც ესენი სოვლი-
დენ დანაშავეთ და განკიცხულათ.

კაცში ადამიანობა არ კვდება და ეს ადამიანობა ჯააზმა
გაუღვიძა თვით ავაზაკებსაც, რაღაც თვითონ თვით ჭეშმა-
რიტებას წარმოადგენდა.

(თარგმანი).

ასათიანი-ჩეკურაშვილისა.

საჭყალი ნონიქ.



ალაქის განაპირობას, ვერის ხევის პირად პატარა ქოხებით გაშენებულ ვიწრო ქუჩის ბოლოს, ერთი პატარა მიკიტნის დუქანი იყო მიყუდული. ლვინის და ორყის გარდა, აქ იყიდებოდა სუყველათვერი რაც კი საჭიროა ლირიბი ხალხისათვის, დაწყებული ანჩხლი ბავშვის დასაწყნარებელ წამლის თიახ-ფარუხისა *), სანთელსაკმლისა — კაბბეჩის ტყავის ქალამნებამდე.

მედუქნე არუთინა დარბაისელი კაცი იყო, ამ უბნის არამ თუ ვაჭარი, მრჩეველიც, მესაიდუმლე, ექიმბაში

და ბევრჯელ მედიატორეც და მსაჯულეც თვის მრევლში. არამც თუ კაცები, ამ უბნის დედაკაცებიც კი ნდობით და პატივისცემით ეკიდებოდენ.

— ალაჯან, თიახ ფარუხი რამდენი მარცვლის ოდენა უნდა გაილესოს რძეში შვიდი თვის ბავშვისათვის? ეკითხებოდნენ ბებიები ანჩხლი ბალღებისა.

— აი, შვილო, ეტყოდა დარბაისლად არუთინა, ეს მოელი ნაჭერი წიიღე, სახლში გქონდეს, სულ ორი შაური ლირის. მხოლოდ თითო დალევანებაზედ მარტო ერთი პურის მარცვლისოდენა გახსენ რძეში და როცა ვაჭირვეულდეს. მაშინ დაალევინე.

თიახ-ფარუხი სპარსეთში მოაზადებული ჩაშხაშია, ბანგივთ ათ-რობს და ტრირალ ბავშვებს იმითი აჩუმებენ უშეცარი მშობლები და ბევრჯელ სამუდამოდ ამაზინჯებუნ ბავშვებს.

— ერთი შაურის ქინაქინა მიბოძე, ეტყოდა ორუთინას მორცხვათ პირ ახვეული ყმაწვილი დედაკაცი. გიგანტების გადასამართვა

— ერთი შაურისა? ვის უნდა დაალევინო, აგრე ცოტა? ან ერთი პარაშოკი რა უნდა გაუხდეს ავალმყოფს, ოთხი მა-ინც უნდა.

— ერთი შაურის შეტი არა მაქვს, გეთაყვანე, უფრო დარცხვენით დაილებდა თავს ქინაქინის მყიდველი.

— ვა, მეზობელი არა ხარ, მერე ვერ მამიტან? გულუხ-ვობით ეტყოდა ორუთინა მყიდველს და ოთხს დასალევინე-ბელს გაუხვევდა ქალალდში.

სტუმრები მეწვინენ, ფული არა მაქვს, ორუთინჯან, დეელრიჭებოდა მოხუცი გიორგი, — ერთი, ნახევარ თუნგი ლვინო, ნახევარ გირვანქა თევზი ძანისიავე.

— ბატონი ხარ, ჩემთ გიორგი, ხათრს როგორ გაგიტებ, მაგრამ იცოდე შაფასს სალამოს რომ სამუშაო აიღო უთუოდ გამისწორდი.

ასე ამ გვარად დილიდგან სალამომდინ არ, „შეწყდებოდა ორუთინასთან მუშტარი. მეტადრე კვირაობით იყო იმის დუ-ქანი პატრეში. გარდა ერთი ორიად გაჩაღებულის ვაჭრობისა, ამ დღეს დუქანი და იმის გარშემო კარმილამო სალაყბო ალა-გათაც გახდებოდა ხოლმე. აქ შეიყრებოდნენ ყმაწვილი ბიქები ცალკე, მოხუცებულები ცალკე და ერთმანეთან ლაზლანდა-რობდნენ, ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ ავს და კარგს. ბევრჯელ საქმეზედაც მორიგდებოდნენ ხოლმე და მოსარიგე-ბელი საქმის გასამარჯვებლად კონდახსაც ჩამოასხმევინებდნენ ორუთინას. ახლო მახლო სოფლებში მამავალი გლეხებიც შე-ისვერნებდნენ ხოლმე ორუთინას „სკამეიკაზედ“, რომელიც დუ-ქნის წინ გრძლოდ იყო გაჭიმული და თუ შემთხვევა მისცემ-დათ ძალა ბიქებთან ერთ ორ ჭიქა ღვინოსაც გადაჰკრავთენ“

ენკვინისთვის დასაწყისში ერთ კვირა სალამოს, კარგა ბლო-მა ხალხი იყო შეყრილი დუქნის კარებზედ. ზოგი იდგა, ზოგი „სკამეიკაზედ“ იჯდა და ჩვეულებრივ ყაყანებდნენ, იცინოდ-ნენ, ახუნჯობდნენ. დუქნიდგან სიმღერის ხმა მოისმოდა. აქაც ბევრნი შეექცეოდნენ



შებინდებული იყო, როდესაც დუქწილგან ერთეულშეწყვეტა
შეზარხოშებული პოლიციელი გამოვიდა და აქ მდგრადშესრუჩია კა-
გადააოვალიერა, მერე უცებ შეცყვირა და თვალები გადაა-
ტრიალა: „წადით, წადით, დარშალენით! ხომ იცით რო
„კრებები“ აკრძალულია?“

— შენი გამოთრობაც აკრძალულია, წაიტუტუნა ვიღა-
მაც ხალხში, მაგრამ...

ხალხი ისტ დაირია. ზოგი უსიტყვოთ დემორილა ბრ-
ძნებას, ზოგმა მხოლოდ ალგი იცვალა და ახლა იქ განა-
ვრძო თავისებური დროს გატარება.

პოლიციელის გამგონთა შორის ნონია სამთავაძეც იყო.
ის და სამდენიმე მისი მეზობელი ნელა ნელა მიდიოდნენ და
რაღაზედაც მიბაასობდნენ.

უცებ დამბაის გრიალი მოისმა დუქწის მხრიდგან. ნო-
ნისა და ამხანავებს ჯერ უნდოდათ უյან გაბრუნება, შეტყუ-
ბა სროლის მიზეზისა, მაგრამ რო დაინახეს იქიდგან გამოქ-
ცეული ხალხი, თოთონაც გაცემვა არჩიეს. იმ ხანებში ისეთი
დრო იყო, რომ ქუჩაში თოფი გასროლილიყო ხალხს ჯარის
შემოსევა ეგონა და უგზო უკვლოდ თვეზეც დასხმული და-
სამალაც გარბოდა

ნონია სამთავაძე ერთი რაღაც უნდილი, გონება
გაუხსნელი, უსიტყვო გლეხი იყო. სულ სამი წლის გად-
მოსახლებული არ იყო ქალაქში და ისევ სოფლელი
ტეტიაობა მოსდევდა. ის დილიდგან საღამომდე ჰუშა-
ობდა, უცლიდა თავის სამ ძროხის და მათ ნაწველ რძე-მა-
წონს მუშტარში არიგებდა, ცოლშეიღს ლუკმის უზიდავდა
და სხვა გარეშე ამისი იმას არაფერი აინტერესებდა. დუქწის
კარგბზედაც, ის უფრო სხვის ფეხის აყოლით მოდიოდა ხოლ-
მე, მანამ იმ ცნობის მოყვარეობით რომ ხალხში გაევონა რა-
მე და შეეტყო.

რევოლიუციის დროსაც იმის თვალის ჩინს სინათლე არ
მომატებია: არც არა გაუეგიარა და არც არა უმოქმედიარა.
მეზობლები დასცინოდნენ ხოლმე: „შენ ძრიელ გევხარ შენ
ძროხებს და ქვეყნის ბრუნვისა არა გეშმისრაო“.

ის იყო სირბილისგან გულ ამოვარდნილი ნონის დუღუშევას
ტახტედ თავის თახმი, რომ ფეხდაფეხ შემოჰყვნენ იმას სა-
მა პოლიციელი და მაშიც გაავიდეს. ნონია თვალებ გაძევ-
ტილი, პირ დაღვბული შეპყურებდა პოლიციელებს — კაცო,
რას მერჩით? რა გინდათ ჩემგან? ძლივ-ძლივობით ლულლუ-
ლობდა, — რა გინდათ ჩემგან?..

— რაც გვიჩნდა, გაიგებო და ჭიმუნჯის წაკურით პოლი-
ციელებმა ჩიყვნა დაუპირეს

— უიმე! რას ვხედავ ამას, შეპყვირა ნონიას ყმაწვრლმა
ცოლმა და თავში შემოიკრა.

— მამა, მამა, მამა! მოისმა ზალლების ღრიალი და წამ-
ზედ დუნდგო ხალხი შეიყიდა. საიდგანლაც ჯაჩნდა ხელებ და-
კარწახებული ნონიას დედაც და ახლა იმან შექქნა საშინე-
ლი ღრიალი, თავში ცემა. — რა იყო, რა იყო გენაცვალეთ?
რა დააშავა მაგ დედა მკვდარმა? აქეთ-იქით ეკითხებოდა კარ-
ზედ მოზავებულ ხალხს. — რას აბრალებენ, გეთაყვანეთ მაგ
ცხარ ადამიანს? რად იქერენ? რა უნდათ მაგისაგან?.. გამ-
გონი ვინ იყო, პასუხს ვინ მისცემდა საბრალო დედას.

ნონია წაათრის, რადგან იმას შიშისაგან ფეხები გოს-
წყდა და სიარული ვეღარ შესძლო. ის მხოლოდ ერთად-ერთ
სიტყვას იჩეორებდა და გულში ხელს იცემდა. — რცსთვის? რის-
თვის?

ორი თვე იჯდა ნონია მეტეშის ციხეში, მერე ადმინის-
ტრატიული წესით ციმბირში გადასახლება გადაუწყვიტეს.

ნონიას მრავალი ამხანაგი ჰყავდა ციხეში, მარტო იმისი
მეზობლები, ვერელები ათნი მოჰყვნენ პოლიციელის მოკვლა-
ში ბრალდებულად, შაგრამ ნონიასთანა საკოდავი, იმასთანა
შეწუხებული და ლაჩარი არავინ აღმოჩნდა. ის ბრელი დღე-
ები პირქვე ეგდო და ტიროდა, სულით დეეცა, წელში მოი-
ხარა, გაქალარავდა, ხმას აღარ იღებდა, პურს და წყალს ნა-
ძ ლადევათ აყლაპებლნენ.

ბევრი იჩინია ნონიას დედამ ადვოკატებთან. სუდიებ-
თან, გუბერნატორთან, მაგრამ ვერა გააწყო რა, ისიც კი ვერ
შეიტყო, თუ რა ბრალს სდებდნენ იმის შეიღსა. ამბობდნენ,

არუთინას დუქანთან რო პოლიციელი მოპკლეს იმ კვირა დღეს, ვითომ ნონიაც შიგ ერიაო, მაგრამ, როგორ? ამას კი აღარავინ კითხულობდა. გიორგობისთვის ნახევარში ნონია თავის ძმანიგებით ეტაპით გაისტუმრეს ციმბირის ერთ-ერთ ქალაქში დასასახლებლად.

ეტაპით მოგზაურობა საშინელებაა ორიოდ დღის მანძილის გავლის შემდეგ გადასახლებულებს მიიყვანენ რომელიმე სხვა ქალაქის ციხეში და ახლა იქ დასტოვებენ ორი სამი კვირით და როცა იქაური გადასახლებულები მიემატებიან, ახლა იმათთან ერთად განაგრძობდნ გზას შემდეგ ქალაქამდე.

ასე ატარეს ნონიაც მთელი ორი თვის განმამავლობაში. ის ანდათან სუსტდებოდა, ჯანი და ლონე ერთმევოდა არავის არ ელაპარაკებოდა, არაფრით არ ნუგეშობდა, მხოლოდ და მხოლოდ იმას გიიძახოდა: რისთვის? რასთვის?

სწორედ ახალწლის დღე იყო, როდესაც ნონიას თანამგზავრთა რაზმი შიუახლოვდა ერთ ჰატარი ციმბირის ქალაქს, სადაც უკანასკნელად უნდა გაჩერებულიყვნენ. სულ ორი ვერსი აღარ იყო დარჩენილი ქალაქის ციხემდე, რო ნონია უცებ წაიქცა, გონება დაჭირა და მხლებელმა სალდაოებმა ვეღარ ააყენეს. ის გაფიტრებული, გაფშეკილი უნძრევლად ევდოთოვლზედ.

გარშემო საშინელი ზამთარი იყო გამეფებული. ყინვა სუნთქვას უძნელებდა ადამიანს. ნახევარზედ ტიტველ-შიშველნი, ცარიელ ფარაჯაში გახვეულნი დასჯილნი ცახცახებდნენ, კიბილებს წაյა წუკა გაუდიოდა. ერთ ალაგას გაჩერება შეუძლებელი იყო, მხოლოდ მოძრაობას და ჩემ რ მოძრაობას შეძლო ადამიანის ფეხზედ შეუენება.

— წავიდეთ, ერთისთვის ამდენის გაწყვეტა ხომ არ გინდათ! შესძახა ერთიმა მგზავრთაგანმა და დანარჩენებმა ბანი მისცეს.

— წავიდეთ, წავიდეთ! დექ, ერთი მოკვდეს, მაინც მკვდარია, ეგ ოხერი? ჩვენ ერთ წამსაც აღარ გავჩერდებით. შეუბრალებლივ შეპყვირეს ცველაშ ერთად და უმურასი ფელდუებელიც დევთანხმა.

საწელი ნონია

— Ну его собаку, წაჟარა იმან ფეხი ნონიას და თან
დაუმარა: რევოლიუციონერი კი არა, ეგ მკვდარი კატა
არის! დეე, მოკვდეს!

როდესაც ნონია გონს მოვიდა და თვალები გაახილა,
იმის გარშემო აღარავინ აღარ სჩანდა. მხოლოდ ტრიალი,
თვალ-გადუწვედენელი იერად გადაპენტილი მინდორი ჯარა-
სავით-და ტრიალებდა იმის თვალში. მყუდრო საღამო იყო.
უა ვარსკელავებით მოქედილი კინვა საზარელი.

— სადა ვარ? სად არიან ამხანაგები? გაიფიქრა საკო-
დავება და როცა ნათლად წარმოუდგა თავისი მდგომარეობა,
თმები მაღლა წაუვიდა.

— მიმატოვეს, მიმატოვეს! ღმერთო, ღმერთო სად არის
შენი სამართალი და ხელები მაღლა იღაპყრო...

(შემდეგი იქნება)

ეპ. გაბაშვილისა.



ო ბ თ ლ ი.



ამთარია. მწვავედ სუსხევს.

ცაზე არ სჩანს ბაღრი მთვარე,
ჯანლ-ნისლოთ რიცეს დაუფარავს
მთლად გაბრცენილი არე მარე.

შევ ფრთოსანი ქარიშხალი
დაგრიალებს და ქვითინებს,
სულ-გაკმენდილ არე მარეს
გლოვის ნანას ულილინებს.

მაგრამ მეუეთ ბუნებისას
ვერ იშინებს შძლე ზამთარი,
ვერც საზარელ ავი ენით
მოქვითინე ჩიავ-ქარი.

თბილ დარბაზში ლხინს ეძლევა
დიდ-პატარა — ბეღათ მტკბარი;
შენატრიან ახალ წელსა
ზეიმია არ საღარი.

იქ კი... გარეთ კედლის ძირის
უტანთ საცმლო ფეხ-შიშველი,
ატუჭულა ჰაწა ბავშვი
და ცრემლები სცვივა მწველი.

უდედმამოს, უსახლკაროს
არეინ აწვდის ნუგეშის ხელს,
არეინ ცდილობს ააცდინოს
სიმშილს, წყურვილს და განსაცდელს.
მხოლოდ ქარი... მძაფრი ქარი

დაგრიალებს მძლავრი ფრთებით,
 ზედ ასკდება საბრალო ბავშვეს
 და ჩასძახის საზარ ხმებით:

„ყველამ თავი მომარიდა,
 შეეფარა სახლ-კარსაო,
 არად აგდებს ჩემს სიშმაგეს,
 ლხინს ეძლევა ნეტარსაო,

შენ კი, ქუჩის მაწანწალიავ,
 ვერსაღ დამემალებიო,—
 ჩემ ყინვისგან ძლიერ მალე
 დაგეხუჭვის თვალებიო“.

ესმის ეს ბავშვს და სუსხისგან
 ხელ-ფეხები ეყინება.

ძალის კარგავს და კედლის ძირს
 თვალებს ხუჭავს, ეძინება.

სიზმარშია... პხედავს ვითომ
 ლრუბლიანი ცა იხსნება,
 და ელვარე ფრთებიანი
 ანგელოზი ევლინება.

ტკბილი ხმებით ჩასჩურჩულებს
 „ბედით“ კრულო, პატარაო,
 უსახლ-კაროთ, უდედ-მამოთ
 ხეტიალი აშ კმარაო.

ამავ წუთში გადავაფრენ
 იქ, სად არ ჰქინის მძლე ქარიო,
 სად მორთული ყვავილებით
 შენთვის ბინა მზათ არიო“.

ამას ამბობს ანგელოზი
 თან ბავშვს ისვამს ნაზა ფრთებზე,
 და ზეცისკენ მიაშურებს
 მომღურავსა ქვეყნათ ძმებზე.

დ. თურდოსპირელი.

ხე-გვიმრა და ეპქალიპტა.



ცხელ ქვეყნებში შეხედებით იმისთანა
მცენარეებსაც, რომელნიც ძალიან ჰგვანან
ჩვენი ქვეყნის მცენარეებს, განირჩევიან მა-
თგან მხოლოდ სიღილით. მაგალითად, ბამ-
ბუს, როგორც უკვე ვსწერდით, იმგვარი
აგებულობა აქვს ლერძის ფოთლებისა და ყვავი-
ლებისაც, როგორც ჩვენებურ ბალახ მცენარე-
ებს, მაგრამ უზომლდ დიდია მათთან შედარებით.
ჩვენში რომ გვიმრაა, სწორედ იმისთანა მცენარეა ერთი ავსტრა-
ლიაშიაც, მხოლოდ იგი ბალახი მცენარე როდია, ხე არის და
გვიმრისაგან განირჩევა არა მარტო ამით, არამედ სიღილითაც.
ამ ხეს ეძახიან ხე-გვიმრას. სიმაღლით ოთხი-ხუთი საეკნი
იჩრდება და ცოცხლობს დიდხანს, როგორც სხვა ხეები. ცხელ
ადგილებში ხშირად შეხედებით ტყეებში ხე-გვიმრას. თავის
ფოთლებით იგი ძალიან ჰგავს პალმას; პალმასავით ამასაც ტა-
ნი კენჭერომდის ტიტველი აქვს და კენჭეროში გადაუშლია
თავისი გრძელი ფოთლები. როგორც ჩვენებურმა გვიმრამ არ
იცის, ისე არც ხე-გვიმრამ იცის ყვავილი. ყვავილი რო სკოდ-
ნოდა გვიმრას, მაშინ იგი თესლს მოგვცემდა, იმას დავთესავ-
დით და ამოვილდა გვიმრა: მაგრამ თავის დღეში აზავის უნა-
ხავს, რომ გვიმრა აყვავილებულიყოს. აბა რა ნაირად მრავლ-
დება ეს მცენარე, ყვავილი თუ არ იცის? დამრგდეთ ყური და
მე გეტყვით:

გადააბრუნეთ მოწიფულ გვიმრის ფოთოლი და გაუშინ-
ჯეთ ქვევითა გვერდი. იქ დაინახავთ ფურცლებზე ლია წაბ-
ლის ფერ პატარ-პატარა კვერებს, ღილების შეგავსად ჩამწკ-
რივებულს. ამ პატია კვერებში არის მრავალი წვრილი თეს-

ლი, რომელიც უყვავილოდ უჩნდება ხოლმე გვიმრას. ამ თესლისაგან ამოღის გვიმრა, როდესაც თესლი მიწაზე დაცვივდება. ასე ჩამწკრივებული სათესლე კვერები რომა აქვს, ამგვარს გვიმრას ეძახიან გვიმრიჭას. გვიმრიჭა იზრდება ტყებში ნოტიო აღვილზე, მდინარეების პირად და ჰაობებში; ტანი ისე მოკლე აქვს, რომ ვერც კი ამჩნევს ადამიანი, მხოლოდ გრძელ ფოთლებს ჰქედავს გადაშლილს, რომელიც მოგვაგონებენ ფრინველთა ფრთებს. მეორე ნაირ გვიმრას, რომელიც მინდვრებში იზრდება ხოლმე, უფრო მშრალ აღვილს, სათესლეები გრეხილივით ჩაუყვება ფურცლების ქვევითა გვერდებზე. ხე-გვიმრაც სწორედ ამ გვარადვე მრავლდება ცხელ ქვეყნებში, როგორც ჩვენში ჩვენებური გვიმრა,



ხე ეპქალიშვილი.

ავსტრალიაში შესანიშნავია კიდევ ერთგვარი ხე—ევქალიპტა. საკვირველი რამ არის ეს ხე თავის სიმაღლით: ორ-მოკი—ორმოცდა ათი და ხშირად სამოცი საფენიც იზრდება. ჩვენს ქვეყანაში წარმოუდგენელია ამ სიმაღლე ხე. მნახველები ემდურიან, ევქალიპტამ ჩრდილი არ იცის, მაგრამ ეს სრულიადაც გახაკვირველი არ არის: ერთი ზოზეზი ამისი ის არის, რომ ევქალიპტას ტყე ბუნებით თხელია, ხეები ერთი-მეორეჯე შორი-შორს არიან, ხოლო მეორე მიზეზი ისაა, რომ ევქალიპტას ბრტყელი ფოთლები კი არ ასხია, როგორც ჩვენებურ ხეებს, არა—ცერ აღმა ასხია, ხე იგი—ერთ კიდური ფოთოლს მაღლისკენა აქვს და მეორე დაბლისაკენ. ცხადია, რომ ფოთლების ამგვარი წყობილობა სრულებით ხელს არ უწყობს მზის დაჩრდილვას; მზის სხივები თავისუფლად გაიკლიან ხოლმე ფოთოლსა და ფოთოლს შუა და ცოტა სითბოს უტოვებენ ფოთლებს. ეს სასარგებლოცა არის ევქალიპტისათვის, რადგან ავსტრალია ხმელი ქვეყანაა და აქაურს ნია. დაგს აკლია სინოტიე: ცერ-აღმა რომ არის ფოთლები, ამის გამო მზის სხივი ცოტა ხვდება მათ; რაკი მზის სხივი ცოტა ხვდება, არც სიმხურვალე აწუხებს მათ, და სინედლე ისე ძლილათ იღარ გამოეცლებათ. თვით ფოთლების კანიცა საკმაოდ სქელია და ესეც ხელს უწყობს სინედლეს. ამ სახით ევქალიპტის ფოთლები თავს კარგად ინახვენ. ამას გარდა ევქალიპტას ძალიან გრძელი ფესვები გაუკეთებია და ორმათ ჩაუშვია ისინი მიწაში. ეს გარემოებაც ხელს უწყობს მის სიცოცხლეს: გრძელი ფესვები იმისთანა სიღრმიდან სწოვენ მიწის წვენს, რომ იმ სიღრმეს სხვა შეცნარების ფესვები ვერ მიუწვდება. აი როგორ შეუფერებია ევქალიპტას თავისი ავებულობა და თავის ცხოვრება ავსტრალიის ხმელ და უპონიერო ნიადაგის-თვის.

ალექსი ჭიჭინაძე.

ფ უ ლ ი.

გამოსაღები ცნობა.



ანამდვილებით ვერ ვიტყვით, როდის შემოიღეს ფულის ხმარება. ერთი უძველესი ფული, რომელიც ინახება ინგლისის მუზეუმში, ისეთი ტლანქია და უშოთ მოჭრილი, რომ უსათუოდ უნდა ეკუთვნოდეს მეშვიდე ან მერვე საუკუნეს ქრისტეს წაბადებამდინ.

ყველა საფასს — ნიშნებს, რომელნიც საჭიროა სხვა და სხვა საგნების შესაძენათ და ადამიანის ნაშრომის საყიდლათ უულს ეძახიან.

ერთი მეცნიერი ამბობს: ფული საჭიროა შრომის ფასის გასანაწილებლად. ძველ დროში არ ესაჭიროებოდათ შრომის დაფასება. მამაკაცი აშენებდა თავისთვის თავ-შესაფარს, მოჭრულ ნადირის ტყავისაგან იკერავდა ფეხთსაცმელებს და ტყავითვე იმოსებოდა. ჭიშვა რაც ესაჭიროებოდა — კოლი აწოდებდა — ართავდა და ქსოვდა საკუთარ ცხვრების მატულის სამოსელს. საჭმლისთვისაც ბევრი ზრუნვა არ უნდოდა — შოულობდენ უხიაყ ტყის ხეების ნაყოფს და წვანილს და იმითი იკვებებოდენ. ბოლოს დაიწყეს მინდვრების ხვნა და შინაური საქონელი გაიჩინეს; აკეთებდენ კურტლებს, ოჯახისთვის აუცილებლათ საჭირო იარაღებს. შემდეგ კაერის იარაღის გაკეთებაც შეპძლეს, ერთი სიტყვით, ყოველი ოჯახი მხოლოდ თავისთვის აკეთებდა საჭირო ნივთებს, მაში იმ დროს ჯერ ალებ-მიცემობა შემოღებული არ იქნებოდა.

მამა-პაპანი დიდხანს უფულოთ ცხოვრობდენ, არ ესაჭიროებოდათ ფული.

დღეს ფული არა თუ საჭიროა საქონლის გაცვლის საშუალებათ, ამასთანავე გვიჩვენებს საქონლის ლირეულობასაც.

როგორც რომელიმე საგნის სიმძიმე გაიზომება ფუთო-



ბით, გირვანქობით, მისხლობით,—ან სიგდე საგნიშვილი უკურნებით, არშინობით, ადლით—ისეც რომელიმე საგნიშვილის ჩატანა—შეგნება, ოქროებით, მანეთობით, აბაზობით, კაპეკობით და სხვა.

ძველ-დროს იშვიათი შემთხვევა იყო, რომ ჩენ მამა-პაპებს ფასით შეეძინათ რამე. ისინი მხოლოდ შინაურ პირუტყვებზე გასცვლიდნ სხვა და სხვა ნაწარმოებს *).

ეს იმითაცა სჩანს, რომ ლათინური სიტყვა „pecunia“ (ფული) წარმოსდგება სიტყვა „pecus“-იდამ, რომელიც ნიშნავს „პირუტყვას“, გურიაში ფულს „ფარა“-ს ეძარიან. ეს სიტყვა უნდა წარმოსდგებოდეს ცხვრის ჯოვის სახელიდან, რომელსაც ქართულად „ფარა“ ჰქვიან.

ადრინდელ დროში ფულის მაგივრათ ხმარობდენ მოკლულ გარეულ პირუტყვის ტყავს, რომში კი ძველ-დროს ყველაზე მცირე ფასათ ითვლებოდა ცხვარი, ერთი ხარის ფასი კი უდირიდა ათ ცხვარს.

ამ გაცვლა-გამოცვლით ვაქრობაში ძირითადი ცვლილება მოხდა. როდესაც ხალხი ვეღარ უძლვებოდა ყველაფრის გაკეთების, მაშინ გამოჩენდენ ისეთნი, რომელნიც არა თუ მარტო თავიანთ საჭიროებისთვის აკეთებდენ ნივთებს, არამედ სხვებისთვისაც. მერე იმისთანა ნივთებს, რომლის გაკეთება ყველას არ შეეძლო. ეს ის დრო იყო, როდესაც პირველი ხელოსნად შეიქნა მეცდელი.

როდესაც ყოველ ოჯახში აუცილებლათ საჭირო გახდა რკინის იარაღი, მაშინ მშედლობაც შემოიღეს.

მშედელს შრომის ფასათ აძლევდენ ტანისამოსს, ფეხსაცმელს, ხორცს, პურს, მაგრამ მშედელს ზოგჯერ არ ესაჭირობოდა ხორცი, ხანდისხან არც პური, არც რძე და არც ტანი. სამოსი უნდოდა და იძულებული კი იყო ეს ყველაფერი მიეღო საფასურში და ისიც ნაკლებ ფასათ.

*) „საჭონელი“ უპირველესად ქართლ-კახეთში შინაურ პირუტყვა ეძაბდენ,—მაგალითად, ხარი იყო იგივ ფული, რომელსაც სცელიდენ გირნახულში, ამის გამო შემდეგ ყოველ სავაჭრო ნივთსაც «საჭონელი» დაერქვა.

ଗାମନିନ୍ଦୟେନ ସ୍ବେଦା ଓ ସ୍ବେଦା ଗାନ୍ଧିରେବିପୁ, ଲୋକି ଗାନ୍ଧିରେବିପୁଣ୍ୟଶୁଦ୍ଧି
ଜୀବି ଅଭିନିଷ୍ଠାଦାନ ମେହରେ ଅଭିନିଷ୍ଠା ତାଙ୍କାନିତି ବାଜନିଲୁଗିଥିଲାକୁ
କିପୁଲିଲ୍ଲେନ ଅଭିନିଷ୍ଠାଦାନ ନାମ୍ବିଶାବାର୍ତ୍ତେ. ମାଗରୀଥ ବିଶିରାତ ଗାନ୍ଧିରୁ
ଏବଂ ଶାକିରନ୍ଦ୍ରବନ୍ଦା ଏବଂ ନାମ୍ବିଶାବାର୍ତ୍ତ ଓ ନିର୍ମଳିତ୍ତବୁଲି ପ୍ରମ, ଶୁଦ୍ଧ
ଶୁଦ୍ଧରାମନ ଫାଶି ମିଳିଲା.

ବାଲ୍ମୀକି କ୍ଷେତ୍ରାଵଦା ଅଭିଶାର ଶ୍ରୀକୃତ୍ତବ୍ୟାଲ ଅଭେଦ-ମିତ୍ରମାର, ପ୍ରମେଲା
ମନ୍ଦିର୍ଯ୍ୟା ଫିଜିର୍କୁ, ଖଂଗର ମନ୍ଦିର୍ଯ୍ୟାକୁ ଲେଖ ଶାକିଶ୍ଚ, ଖଂମ ପ୍ରମେଲାଶତ୍ରୁପି
ଶାଶାରଗ୍ରେବଲା ଓ ଶାମାରତଲାକାନି ପ୍ରମ, ଶରୀମିଳି ଦାତାଶେବା. ତାଙ୍କ
ଓ ତାଙ୍କ ଲେଖ ଖଂମ ପ୍ରମେଲା ମନ୍ଦିର୍ଯ୍ୟାକାନ ଲେଖିଲା ଶାଶାନି, ଖଂମେ-
ଲାପ ଏବଂ ଦରନ୍ତା ଏବଂ ଦାକ୍ଷିଜରାଗବନ୍ଦା ତାଙ୍କିଲା ଫାଶି.

ରାଧଗାନ ମାମିନ ଜୀବିତାଦ-ଜୀବି କ୍ଷେତ୍ରାବଦାନ ମିଶ୍ରଦେଲି ପ୍ରମ,
ଖଂମିଳିଲା ନାମ୍ବିଶାବାର୍ତ୍ତ ପ୍ରମେଲାକୁ ଶାକିରନ୍ଦ୍ରବନ୍ଦା ଓ ପ୍ରମେଲା ଅଭ୍ୟା-
ଶେବଦା, ମାର ମନ୍ଦିର୍ଯ୍ୟାକୁ ଲିନ୍ଦେବୁଲା ଶାତାଶୁରିପୁ. ଏବଂ ପ୍ରମ ଲାପ-
ତମନି—ମାଧାନି.

ଏହି ଶିଥି ଖଂମା ଖଂମେଲାମିଦ୍ବେ ଲାପତମନିଲା, ଖଂମେଲାପ ଜୀବି ଶିଥ-
ମିଳିଲାଦା ଓ ଏହାକି. ଜୀବିତାକିରି ଶାଶନି ନାମ୍ବିଶି, —ଲିନ୍ଦେବୁଲାଶୁରିପୁ-
ଶାପ ଜୀବିତାକିରିଲା କିନ୍ତୁ ବିନାନି. ଶୁତି ଗିର୍ବାନିକା ଶବ୍ଦିଲେବନି
ଲେଖିଲା ଲିନ୍ଦେବୁଲାଶୁରିଲାଦା, ଖଂଗରାପ ଏହା ପ୍ରମବୁଲାକି ମାନ୍ଦେତି.
ଶୁତି ଶାରୀ କି, ମାଗାଲିତାଦ, ପ୍ରମେଲାତିକି ଜୀବି ଓ ପିତାକୁ ପ୍ରା-
ଶାତ ଏବଂ ହାତିକୁଲାକି. ଲାପତମନି ଅଭିନିଷ୍ଠାତ ଶେଷିଲେବନି ଗାନ୍ଧାରିଆ-
ନିନ ଜୀବି ଅଭିନିଷ୍ଠାଦାନ ମେହରେଶ୍ବେ, ଅଭିନିଷ୍ଠା ଶେଷିନାନିପୁ ଏହାକି.
ଶାରଦା ଅଭିନିଷ୍ଠା ଲାପତମନି ଶିଥି, ରାଧିଲ୍ଲେ ନାମ୍ବାତାପ ଗିନ୍ଦାତ, ଫା-
ନ୍ଦିପ୍ରମତ୍ତା, ମେତ୍ରାଲାର୍ଜ ପାତ୍ର-ଫାନିଦାନ ନିର୍ବିନ୍ଦାକି ଗାନ୍ଧାରିକିଲାତ. ଶିନାନ୍ତର
କିନ୍ତୁପ୍ରମତ୍ତା କି ପ୍ରମବୁଲା ଗାନ୍ଧାରିକିଲେବନିପାଇନ୍ଦ୍ରିଯନ୍ତି.

ଶିଥିଲା ଲାପତମନି ଶିଥିଲେବନି, ଖଂମେଲାଶାପ ଶାତାଶୁରିକାତ ଗାନ୍ଧା-
ରିମିଲ୍ଲେ, ମିଳିଲ୍ଲେ ଜୀବିତାକିରି ମନ୍ଦିର୍ଯ୍ୟାକିଲାଦା, ପ୍ରମବୁଲା. ମେହରେ ଦାନ-
ିଷ୍ଟିକୁ ଦାନିରୁ ଜୀବି ଶିଥିଲେବନି ଦା ଶିଥିକୁ ଲାତାନିତି. ତାଙ୍କ ଶାକିରା
ପ୍ରମ ଏବଂ ଲାତାନି ନାନ୍ଦେଶ୍ବରିକୁ ମିତ୍ରମା—ମିଳି କିଲେବନି ନାନ୍ଦେଶ୍ବରାତ ଏକ-
ଶୁରୁଲ୍ଲେନ. ଏହି ମନ୍ଦିର୍ଯ୍ୟା ଏହାକି ଶାକିରାକି ପ୍ରମବୁଲାକି ଶିଥିଲେବନିକା
ଦାନିରୁ ଦା ଶରୀନଜାନିଲାକାନ ଗାନ୍ଧାରିକିଲେବନି ପ୍ରମବୁଲା, ରାତ୍ରିକୁ ପ୍ରମବୁ-
ଲାକି.

(ଶାଶନାନ୍ଦୁର ଶେଷିଲ୍ଲେ)

ଅ. ଶେଷିଲ୍ଲେତମନିଲା.

სხვა და სხვა ამბები.

ბედნიერი მცცხვარი.



სრულული

კარწვილი მწყემსი აძლევებდა თავის ცხვრის ფირზე მშეკრის მინდორზედ ორ ტყის შუა, ბუნებით მხიარული, ის მთელი დღე სალამურს უკრავდა და მღეროდა.

ამ ქვეყნის მართველი ერთ დღეს ტყეში ნაღირობდა, — გაიგონა მწყემსის მხიარული სიმღერა და მოიხმო.

— რად ხარ ეგრე მხიარული, მეგობარო!

მწყემსმა არ იცოდა ვის ებაასებოდა და გაბედვით მოახ-სენა: „რატო არ უნდა ვიყო მხიარული, როდესაც ჩემი სი-მდიდრე, თვით მთავრისას არ ჩამოუვარდება?“

— მართლა? შესძახა მთავარმა. — აბა ჩამომითვალე შენი სი-მდიდრე!

,,ბრწყინვალე მზე ერთ გვარად გვინათებს მეც და მთა-ვარსაც მთა და ბარი იმსება ყვავილებით და ერთ გვარად ვვარკბობს მე და მთავარს.,,ხელებს ჩემსას ხომ ფასი არა აქვს, და თვალთა სინათლეს ვერ შეისყიდის ვერა სიმდიდრე მთავ-რისა. მე არ ვგრძნობ შიმშილს, იმიტომ რომ ვკმაყოფილდები ცოტათი და ვაკეთებ იმას, რაც შესიამოვნება. განა მდიდარი არა ვარ ჩვენ მართველზედ?

,,მართალს ამბობ, მიუგო მეფემ:“ სიმშვიდე, სიმხიარულე და სიბრძნე — უდიდესი კმაყოფილებაა ქვეყანაზედ.

ფოთლები და ფეხვები.

ფოთლები ნიაქს შეჰკვეხოდნენ: ,,ხედავ რა ლამაზები, რა ხასხასი მწვანეები ვართ, რა მშვენიერ ჩრდილს ვაძლევთ სიცხისაგან გაოგნებელ მუშებსაო,“ ჩვენ რომ არ ვიყვეთ, რა იქნებოდა თვით ხეო.“

,,თავი მოგწონდეთ,“ მოესმათ მიწიდან ფეხვების ხმა ფოთლებს. — იყავით მშვენიერნი და ამაყნი, მაგრამ იმას კი ნუ დაივიწყებთ, რომ შემოდგომა მოვა, გაყვითლდებით და ქარი წაგილებთ. გაზაფხულზედ თქვენს მაგიერად სხვა ფოთლები აბი-ბინდებიან და ჩვენ, ფეხვებს, კი ნუ გვივიწყებთ. უჩვენოთ არც თქვენ და არც თვით ხე ვერ იბოგინებთ.“

საქართველოს ისტორია

მოკლე სისტემატიური კურსი.
მოზრდილთათვის.

I

შესავალი. — უუძველესი ისტორია.
ძველი ისტორია.

თ ფ ი ლ ი ს ი

1910

შ ე ს ა ვ ა ლ ი.

I

წინასწარი ცნობები.

1. ქართული ენა. დრო იყო, ადამიანები ერთ ენას ლაპარაკობდენ; მაგრამ, როცა გამრავლდენ და ერთმანეთს დაშორდენ, ენაც თანდათან შეეცვალათ: ერთის ნაცვლათ მრავალი ენა წარმოდგა. ამ ენებს დღეს მეცნიერები რამდენ-სამე ოჯახად ჰყოფენ. ვათ შორის ჩვენთვის უფრო საგუ-ლისხმო შემდეგი სამი ოჯახია: სემიტური, იაფეტური და ინდო-ევროპული ანუ არიული. ყოველ ოჯახს თავ-თავისი შტოები და კილოკავები აქვს. მაგალითად, სემიტურ ოჯახს შემდეგი შტოები შეადგენდა: ევვიპტური, ეპრაული, ასურუ-ლი, ბაბილონური, არამეული, არაბული და სხვანი; ართულს ანუ ინდო-ევროპულს: ბერძნული, სლავიანური, რომანუ-ლი, გერმანული, ირანული (სპარსული, მიდიური), სომხური და სხვანი. იაფეტურ ოჯახს თავდაპირუელათ შემდეგი შტოე-ბი ჰქონია: ედამური, უუძველესი ადგილობრივი «სომხური», ქარ-თული, ჭან-მეგრული და სვანური; დღეს კი ამათგან ელამური და უძველესი „სომხური“ აღარ არსებობს: პირველი მკვდა-რია და მარტო წარწერებში ამოიკითხება, მეორე კი — შემო-ტანილს არიულ-სომხურს შერევია და მასთან ერთად შეუქმ-ნია დღევანდელი სომხური; სვანურ შტოს მარტო ერთი ენა შერჩენია — სვანური; ჭან-მეგრულს ორი: მეგრული და ჭანუ-რი ანუ ლაზური; ხოლო საკუთრივ ჭართული შტო მრავალ კილოკავად დაყოფილი და სივრცითაც ყველაზე მეტი ადგი-ლი დაუჭერია. ქართულის კილოკავებია: იმერული, გურუ-ლი, მესხური, ქართლ-კახური, ინგილოური და ფშავ-ხევსუ-რული. იაფეტური ოჯახის ენათა შორის მწერლობა დღეს მარტო ქართულ ენაზე მოიპოვება; სვანურათ და მეგრუ-



ლათ მოლაპარაკე ტომებიც ქართულ ენას სოფლიდან, მოფუჭულ სამწერლო და საეკლესიო ენად; და, რადგან ამასთმცველების მომავლობაც ქართველებთან ერთი აქვთ, ამიტომ თავის თავის იგინიც ქართველებს უწოდებენ. ამგვარათ, ქართული ენა დღეს ყველა იაფეტელის ეროვნული ენაა; ეს ენა აერთებს ქართული მოდგმის ყველა ტომს და ჰქმის მათგან ერთს ერს, რომელსაც დღეს ქართველი ერთ ეწოდება.

2. ქართველები. ზემო ნათქვამის მიხედვით, დღევან-დელ ქართველობას შემდეგი ტომები შეადგენენ: სვანები, მეგრელები, ქანები ანუ ლაზები, გურულები, იმერლები, ქართლელები, კახელები, ფშავ-ხევსურები და ინგილონი. გარეგნობით ყველა იგინი ეგრეთ წოდებულს „კავკასიურ მოდგმას“ ეკუთვნიან. მათი საერთო რიცხვი დღეს ორ მილიონს არ აღემატება. ძველათ კი ქართველები რიცხვითაც მეტი ყოფილან და ბევრ ტომებადაც დანაწილებული. თავის პირვანდელ სამშობლოში მათ ქართები რქმევიათ; შემდეგ, როცა იქიდან გამოსულიან, თანდათან წვრილ-წვრილ ტომებად დაყოფილან. ამ ტომებს სხვა და სხვა მეზობელი ერები, სხვა და სხვა დროს, სხვა და სხვა სახელს ეძახდენ, რაზედაც ქვემოთ თავის ალაგის გვექნება საუბარი.

3. საქართველო. სიტყვა „საქართველო“ ორი მნიშვნელობით იხმარებოდა და იხმარება: ზოგჯერ იგი აღნიშნავდა იმ მიწა-წყალს. სადაც უმთავრესათ ქართველები ცხოვროდენ; ზოგჯერ კი ყველა იმ აღილებასაც, რომელნიც ქართველებს ჰქონდათ დამორჩილებული. სხვანაირათ რომ ვთქვათ, საქართველო ქართველების სამკვიდრებელს ან მათს სამულობელოს ეწოდებოდა. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ქართველების ბინადრობა, სულ ცოტა, სამჯერ მაინც შეიცვალა, სანამ ქართველები დღევანდელ სამშობლოში (ამიტომ კავკასიაში) დაემჯეოდრებოდენ. ამიტომ სიტყვა „საქართველო“ სხვა და სხვა დროსთვის სხვა და სხვა აღილის აღსანიშნავად უნდა ვიგულისხმოთ: საქართველო იქიყო, სადაც ქართველი ერი ფლობდა ან ბინადრობდა; იცვლიდენ თუ არა ბინა-სამფლობელოს ქართველი ტომები, საქართველოც თანდათან საზღვ-

რებს იცვლიდა. ამიტომაც საქართველოს ისტორია იგივე ქართველი ერის ისტორია.

4. საქართველოს ისტორია. „ისტორია“ ბერძნული სიტყვაა. იგი ნიშნავს ამბავს, მოთხრობას. რას მოვცითხრობს საქართველოს ისტორია? იგი მოვცითხრობს: სად და როგორ უცხოვრიათ ქართველებს უუძველესი ღროიდან, რომელ ერებთან ჰქონიათ დამოკიდებულება, რა და რა ცვლილება გამოუვლიათ ცხოვრებაში და როგორ მოუწევათ იმ მდგომარეობამდე, რომელშიც დღეს იმყოფებიან. ყოველსავე ამას ისტორია მოვცითხრობს მწყობრათ და დალაგებით, ანუ სისტემატიკურათ. მაშინადამე, მოკლეთ რომ მოვჭრათ, საქართველოს ისტორია არის ქართველი ერის წარსული, ცხოვრების სისტემატიკური მოთხრობა.

5. საქართველოს ისტორიის ნაწილები. ქართველი ხალხის წარსული ცხოვრება ხუთ უმთავრეს ხანად განიყოფა. ამის შინედვით საქართველოს ისტორიაც ხუთი ნაწილისაგან შესდგება.

პირველი ხანა იწყება უხსოვარი ღროიდან და გრძელდება იმ ღრომდე, როცა ქართველები საპოლოოთ დაემკვიდრენ თავის დღევანდელ სამშობლოში. ეს ხანა თავდება დაახლოვებით მე-IV საუკუნეში ქ. წინ. ამ ხანის ისტორიას ჩვენ დავარქმევთ საქართველოს უუძველეს ისტორიას.

როცა ქართველები თავის დღევანდელ სამშობლოში საბოლოოთ გადმოიკრიფენ და დაემკვიდრენ, მათ კვლავ დაიარსეს სამეფოები. აქ პირველი ძლიერი სამეფოს დაარსება მოხდა 320 წლის მახლობლათ ქ. წინ. აქედან იწყება საქართველოს ისტორიის მეორე ხანა. იგი გრძელდება საქართველოში ქრისტიანობის დამყარებამდე, რაც მოხდა 326 წლის მახლობლათ ქ. წ. შემდეგ. ამ ხანის ისტორიის შეგვიძლია დავარქვათ საქართველოს ძელი ისტორია.

მეოთხე საუკუნიდან ქ. წ. შემდეგ იწყება ჩვენი ერის წარსული ცხოვრების მესამე ხანა, რომელიც მე-13 საუკუნებდე გრძელდება. ეს ხანა იწყება რომაელთა მფლობელობის დამკვიდრებით, რასაც თან მოჰყვა ქრისტიანობის დამყა-

ბაც, და თავდება მონგოლების შემოსევით. ამ ხანის ისტორია შეიძლება იწოდოს საქართველოს საშუალო ისტორიად.

მე-13 საუკუნეში იწყება საქართველოს ახალი ისტორია, რომელიც გრძელდება მე-18 საუკუნის დამლევამდე. ამ ხანის განმავლობაში საქართველოს სამეფო ჯერ ორ სამეფოდ გაიყო, შემდეგ რვა პატარ-პატარა სახელმწიფოდ, ბოლოს კი რუსთას სახელმწიფოს შეუერთდა (1801 წ.). ეს ხანა იწყება მონგოლთა ბატონობით და თავდება რუსთა მფლობელობის დამყარებით.

დასასრულ, უკანასკნელ ხანას შეადგენს რუსთა მფლობელობა ანუ მე-19 საუკუნე დღემდე. ეს არის საქართველოს უუახლესი ისტორია.

ასეთია საქართველოს ისტორიის უმჯობესი ნაწილები. თვითეული მათგანი კიდევ რამდენიმე ზიცირე ნაწილად გაიყოფა, რაც ქვემოთ თავ-თავის ადგილას გვექნება აღნიშნული.

კითხვები გასამორჩებლად. ენების რომელ ოჯახს ეკუთვნის ქართული ენა? რა და რა შტოები ჰქონია ძველათ იავეტურ იჯახს? ამ იჯახიდან დღეს რომელი შტოები დარჩენილა? ჩამოათვალეთ ქართული ენის კილოვაგები. ჩამოათვალეთ ქართველი ერი: დღევანდელი ტომები. რომელს მაღდგას ეკუთვნიან ქართველები გარევნობით? რას ნიშანვს სიტყვა „საქართველო“? რა არის ისტორია? რა არის საქართველოს ისუარია? რამდენ ნაწილად გაიყიდა საქართველოს ისტორია? უწევნეთ თვითეული ნაწილის დაწყის-დასასრული.

II

საქართველოს ისტორიის წყაროები.

ახლა ვიკითხოთ: საიდან პკრეფს საქართველოს ისტორია ცნობებს ჩვენი ერის წარსული ცხოვრების შესახებ? ცნობებს საქართველოს წარსულის შესახებ სამგვარი წყარო იძლევა: ნიგთაქრი ნაშთები, ზეპარსიტუვანბა და შეწრდობა.

1. ნიგთიერი ნაშთები. ნიგთიერ ნაშთს ეძახიან ყოველ ნივთს ან შენობას, რომელსაც ამა თუ იმ ხალხის წარსული

უხოდრებიდან ჩვენამდე მოუწევია. საქართველოს ისტორიის ნივთიერ წყაროებს ეკუთვნის: ძველი სამუშაო და საომარი იარაღები, საოჯახო და საეკლესიო ჭურჭელ-საჭკაულები, ტა-ნისმოსი, ძველი ფულები, სხვადასხვაგარი შენობები ან მათი ნანგრევები, საფლავები, ძეგლები მათი წარწერებით და სხვანი. ამგვარ საგნებს საერთო ეწოდება სიძველეზი; ხოლო იმ მეცნიერებას, რომელიც აღნიშნულ საგნებს იკვლევს, სიძველეთა მეცნიერებას ანუ არქეოლოგიას ეძახიან. არქეოლოგის შემწეობით ჩვენ ვტყობილობთ, თუ რა სიმდიდრისა და კანათლების პატრონი ყოფილა ჩვენი ერი სხვა და სხვა დროს, რა მდენათ განვითარებული ჰქონია მეურნეობა ან ვაჭრობა, რა წესზე ჰქონია მოწყობილი ღვთისმსახურება და მიცვალებულთა დასაფლავება, რომელ მეზობელ ერებთან ჰქონია მისელა-მოსულა და სხვანი. ზოგიერთ ნივთებსა და შენობებზე ხანდახან წარწერებიც გვხვდება, მაგალითად: ძველ ფულებზე, შენობების ნანგრევებზე, საფლავის ძეგლებზე, პირდაპირ კლდებზე და სხვ. ზოგი ამ წარწერათავანი უკვე წაკითხულია. ზოგის წაკითხვა კი დღემდე სრულიად ვერ მოუხერხებიათ ან სისტორით ვერ წაუკითხავთ. საქართველოს ისტორიის წყაროთა შორის ამგვარ ნაშთებს წარმოადგენს, ეგრეთ წოდებული, ხეთური ხატოვანი წარწერები (რებუსების მსგავსათ) და განის დურსმედი მწერლობა. თუ ვინ იყვნენ და საღ ცხოვრობდენ ხეთურები, ამაზედ ქვემოთ გვექნება საუბარი. იქ კი შევნიშნავთ, რომ ხეთური წარწერები ეგვიპტურს იეროგლიფებს (ხატოვან მწერლობას) მოგვაგონებს, მაგრამ დასაწყისით კი მათთან არავთათო კავშირი არა იქვს. ხეთური წარწერები ქვებზე ამოკრილი (ამობერილათ). სამწუხაროთ, ამ წარწერების წაკითხვა სწავლულებს ჯერ ჯერობით ვერ მოუხერხებიათ. ამიტომ ისტორიისათვის მათი შინაარსი საიდუმლოებას შეადგენს. მაგრამ, როგორც არქეოლოგიური ნაშთი, ხეთური წარწერები თავისთავათ ღაღიადებს, რომ იმ დროს, რომელსაც ეს წარწერები ეკუთვნის, ქართველების მოწინავე ტომები განათლების საქმით მაღალ საფეხურზე ყოფილან ასული.—თითქმის ესევე უნდა ითქვას ვანის ლურსმული წარწერების შესახებაც.

ნ რ ე ტ ა



1910 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით როგორითაც მუცელი და მიმდინარე წელს გამოდიოდა. მომავალ წელს გაზეთი გაუმჯობესებული იქნება შინაარსით.

ეფუძნ დღიურ გამოცემის გარდა 1910 წელს გაზეთის ექნება

ს უ რ თ ე ბ ი ა ნ ი დ ა მ ა ტ ე ბ ა

დამატება გამოვა კვირაში ერთხელ—კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან.
10 კაპ., ერთი თვეით—1 მან.

ტაბაკ ნომერი ეჭვალდან ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

შინც 15 იანვრამდე გაზეთს გამოიწერს და სამ მანეთს შემო-იტანს, იმას მიეცემა კედლის თვიური პატარა.

კ ა ლ მ 6 6 1 9 1 0 წ ლ ი ს ა

ს ე ლ ი ს - მ თ წ ე რ ა ფ ე რ ა ფ ე რ ა მ თ წ ე რ ა ფ ე რ ა:

„დოკების“ კანტორაში—დიდი ვანქის ქუჩა, № 12; წერა-კითხვის სახლ-გადაფის „წიგნის მაღაზიაში“ შ. ქუჩა-უალათან—სასხლის ქუჩა, თავად-აზნ. ქარვასლა; ნაძალადევზე მებურე მელიტონ ლოდობერიძესთან—მა-გისტრალნი ქუჩე, გრიბოედ ჩარკვიანის სახლში; ოკინის გზის მთავარ სხელოსნოში ვანო ჭავჭავაძესთან—ტოკარნი ცენტ.

ს მ ლ ი ს მ თ მ ა მ ე რ ა თ ა ს ა შ უ რ ა დ ლ ი ბ ი დ

კანტორა უმორნილესად სთხოვს ახალ ხელის მომწერთ, თუ ვინიც იყობა ვერ მოახერხებენ ფულის კანტორაში შეტანას, დამ-ტარებლებს გადასცენ იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდე-საც ეს უკანასკნელნი კვიტანციას წარუდგენენ.

ჟელის-მოწერა რედაქციის კანტორაში შეიძლება: დილით 8-დან 3 საა-თამდე, საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

აღრესი: თიფლის, რედაქცია „დროება“ ი. ს. ა გ ლ ა დ ვ ე .

ՀԱՅՈԼՈՅ

ՏԱՐԱՎԻ ԵՎ ԵՐԱԾՈՒՅԹ ԱՆԴԱՐԱԾՈՒՅԹ

ՊԱՇԱ ՅՈՒՅԵԼՈ

ԵՎԼՈՒԹԱԳՈ

Ցուցանշանական թիմ առ 1910 թվ.
Տարածությունը գումարութեալ է մոտ 500 հազար քառակուսի մետր։
Տարածությունը գումարութեալ է մոտ 500 հազար քառակուսի մետր։

Տարածությունը գումարութեալ է մոտ 500 հազար քառակուսի մետր։
Տարածությունը գումարութեալ է մոտ 500 հազար քառակուսի մետր։

Տարածությունը գումարութեալ է մոտ 500 հազար քառակուսի մետր։
Տարածությունը գումարութեալ է մոտ 500 հազար քառակուսի մետր։

Տարածությունը գումարութեալ է մոտ 500 հազար քառակուսի մետր։

Տարածությունը գումարութեալ է մոտ 500 հազար քառակուսի մետր։

Տարածությունը գումարութեալ է մոտ 500 հազար քառակուսի մետր։

Տարածությունը գումարութեալ է մոտ 500 հազար քառակուսի մետր։

Տարածությունը գումարութեալ է մոտ 500 հազար քառակուսի մետր։

Տարածությունը գումարութեալ է մոտ 500 հազար քառակուսի մետր։

Տարածությունը գումարութեալ է մոտ 500 հազար քառակուսի մետր։

Съ доставкой въ Тифлисъ:	Съ пересылкой въ другіе города:
за годъ	6 р. — к.
за полгода	309 4 д к.

Помѣсячно повсюду 75 коп. Отдѣльныѣ №—5 коп. Загра, ницу вдвое. За перемѣну адреса городскаго на иногородній—1 р., съ иногородняго на иногородній—50 коп.

Адресъ редакціи: Гифлисъ, Эриванская площадь, д Гургенова, общій входъ съ конторой нотаріуса Мгеброва. Редакція открыта отъ 9-ти до 4-хъ час. дня и отъ 7-ми до 8-ми час. вечера.

Лично редакторъ принимаетъ отъ 12—1 час. дня.

Редакторъ-Издатель Г. 1. Амираджиби.